

ფრაიბურგის ბიოლოგიური ბანკი ჰილდა ინფორმაციები ზრდასრულასაკს მიღწეულ პაციენტებისათვის

ბიოლოგიურ მასალათა შემოწირულობის, შენახვის და მოხმარებისათვის,
აგრეთვე შეგროვების, დამუშავებისა და სამეცნიერო დანიშნულებით
გამოყენებისათვის

ღრმადპატივცემული პაციენტო,

ჩვენ დღეს მოგმართავთ თქვენ, რადგან თქვენ ახლხან 18წელს შეგისრულდათ და
ამგვარად თქვენ სრულწლოვანი ხართ.

წარსულში ფრაიბურგის ჰილდას ბიოლოგიურ ბანკში შეინახეს სინჯები, რომელც
თქვენგან, როგორც არასრულწლოვანისგან აიღეს სადაგნოსტიკო კვლევების მიზნით.
იმ დროისათვის ფრაიბურგის ჰილდას ბიოლოგიურ ბანკში მონაწილეობაზე თანხმობა
თქვენმა მშობლებმა გასცეს, რადგან მცირეწლოვნის შემთხვევაში თანხმობა უნდა
გასცეს ზრუნვაზე უფლებამოსილმა პირმა. რადგან თქვენ უკვე სრულწლოვანი ხართ,
თქვენ თავად უნდა გადაწყვიტოთ თქვენი სინჯებისა და მონაცემების შემდგომი
გამოყენების შესახებ.

იმისათვის რომ მიიღოთ ეს გადაწყვეტილება, გვინდა ფრაიბურგის ბიოლოგიური
ბანკის ჰილდას შესახებ დაწვრილებით ინფორმაცია მოგაწოდოთ. ამასთან
დაკავშირებით გეგზავნებათ წერილობით ინფორმაცია და თქვენი მკურნალ ექიმის
გაგესაუბრებათ ბიოლოგიური ბანკის შესახებ. კითხვების შემთხვევაში მიმართეთ
საინფორმაციო ბუჯეტის 1 გვერდზე დასახელებულ საკონტაქტო პირს. ჰილდას
ბიოლოგიურ ბანკში მონაწილეობა ეს ნებაყოფლობითა და თქვენ შეგიძლიათ
ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე შეწყვიტოთ მასში მონაწილეობა, თქვენს
მკურნალთაზე უარყოფითი გავლენის გარეშე.

ჩვენ გვინდა გთხოვოთ, რომ მხარი დაუჭიროთ ფრაიბურგის ბიოლოგიურ ბანკს და
თქვენი სინჯები და მონაცემები დაგვიტოოთ სამედიცინო კვლევებისთვის. თუ
თანახმა ხართ მონაწილეობაზე, მაშინ ხელს მოაწერეთ ფრაიბურგის ბიოლოგიური ბანკ
ჰილდას თანდართულ თანხმობას. თუ არ გსურთ რომ თქვენი ბიოლოგიური მასალები
შენახული იყოს ბიოლოგიურ ბანკში, გთხოვთ შეგვატყობინოთ ამის შესახებ.
ბიოლოგიურ ბანკში შენახული სინჯები განადგურდება და შესაბამისი მონაცემები
წაიშლება. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ის სინჯები, რომლებიც კვლევით
მიზნებისათვის უკვე გამოყენებულა, სახელდობრ მონაცემები რომლებიც
შეფასებაში შევიდა ვერ განადგურდება/წაიშლება.

წინასწარ დიდ მადლობას გიხდით ფრაიბურგის ბიოლოგიური ბანკის ჰილდათ
დაინტერესებისათვის და მოხარული ვართ თქვენი მხარდაჭერით.

კეთლი სურვილებით,

Brigitte Strahm
Head of the Biobank
Hilda Biobank Freiburg at the Kinder- und Jugendklinik